

ვაკანსიის № 60715

პოზიციის დასახელება	ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ - ბიოლოგიის კომპონენტის პროფესიული განათლების მასწავლებელი (შტატგარეშე თანამშრომელი) გამარტივებული კონკურსი
კონკურსის ტიპი	
ორგანიზაცია	ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“
კატეგორია	განათლება/სწავლება
განცხადების ბოლო ვადა	21.05.2020
თანამდებობრივი სარგო	შეთანხმებით
ადგილების რაოდენობა	2
სამსახურის ადგილმდებარეობა	ოზურგეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

- განახორციელოს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „ ბიოლოგიის“ კომპონენტის სწავლება მოდულის მიზნების შესაბამისად:(შესაბამისი მოდული იხილეთ:<http://horizonti.ge/>)
 - 1.1 უზრუნველყოს, რომ პროფესიულ სტუდენტს გაუჩინდეს ინტერესი მეცნიერების შესწავლის მიმართ;
 - 1.2. პროფესიულ სტუდენტს შეასწავლოს სამყაროში მიმდინარე მოვლენებში მეცნიერული კანონზომიერებების დანახვა და მიღებული ცოდნის გამოყენებით სხვადასხვა ცხოვრებისეული ამოცანის გადაჭრა;
 1. 3. უზრუნველყოს რომ პროფესიულ სტუდენტს შეეძლოს გარემოში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირება;
 - 1.4. პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს კვლევითი უნარ-ჩვევები, რომლებსაც ახალი ცოდნის მისაღებად გამოიყენებს;
 - 1.5. უზრუნველყოს რომ პროფესიულ სტუდენტს მეცნიერული ცოდნისა და ანალიზის საფუძველზე შეეძლოს ბუნებაში სხვადასხვა მოვლენის პროგნოზირება;
2. განახორციელოს პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი სწავლება და შეფასება, მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3. განახორციელოს პროფესიულ სტუდენტებში პროფესიული უნარ-ჩვევების/კომპეტენციების ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი სწავლება;
4. მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;
5. უზრუნველყოს სწავლების მაღალი ხარისხი;
6. იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კოლეჯის შიერ შეთავაზებულ სწავლებებში;
7. უზრუნველყოს, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება;
8. შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიული სტანდარტებით, კოლეჯის წესდებით, შინაგანანესით და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

მოთხოვნები

მინიმალური განათლება ბაკალავრი

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი
Microsoft Office PowerPoint	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი ოზურგეთი, რუსთაველის N8
საკონტაქტო ტელეფონები 577162287; 577162283

დამატებითი მოთხოვნები

- კვალიფიკაცია: საგნობრივი გამოცდით დადასტურებული ბიოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია და/ან ბაკალავრის ბიოლოგიის კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომი (მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა ან პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს) და/ან მაგისტრი/მაგისტრთან გათანაბრებული ბიოლოგიის კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს) და/ან ბიოლოგიის დოქტორი (სავალდებულოა პედაგოგიკაში გადამზადება) ან ექიმი/მედიცინის დოქტორი (სავალდებულოა გადამზადება პედაგოგიკასა და ბიოლოგიის სწავლების მეთოდოლოგიაში). მოდულის შესაბამისი კომპონენტის - ბიოლოგია, მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას.
- სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;

დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებს კანდიდატი, თუ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) ატვირთული დოკუმენტაციით მოხდება მისი შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობისათვის დაწესებულ ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან;
- კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ ძირითად ფორმალურ მოთხოვნებს ან/და მის მიერ არ იქნება წარმოდგენილი სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტაცია, კონკურსში მონაწილეობას ვერ გააგრძელებს.
- კონკურსანტს მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში გადაეგზავნება მოდულის განხორციელების გამკვლევი (პროექტი), მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე;
- გამარჯვებულ კანდიდატ(ებ)თან კოლეჯის მიერ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ კოლეჯის დირექტორის მიერ მოცემული ბრძანების და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. პროგრამის უფლების მოპოვებამდე მასთან გაფორმდება წინარე ხელშეკრულება.
- შრომის ანაზღაურება: საათობრივი დატვირთვის მიხედვით, 1 საკონტაქტო სთ - 15 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულების ვადა დანიშნვიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომდევნო წელს გაგრძელების პერსპექტივით.
- სავალდებულოა, კონკურსანტმა ვებ-გვერდზე - www.hr.gov.ge შესაბამის გრაფაში ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:
 - * განათლების, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - * სამოტივაციო წერილი;
 - * გამარტივებული კონკურსი ცხადდება პირის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმების მიზნით.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადანწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემით, განცხადების მიღების ვადის ამონურვიდან მაქსიმუმ 1 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება